

თავი LI

საგნობრივი პროგრამა ქართულ ცეკვაში

1. ზოგადი ნაწილი

ა) შესავალი

ხალხური ცეკვა ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. იგი, როგორც სავალდებულო დისციპლინა, მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ზოგადი განათლების სისტემას.

ქართული ხალხური ცეკვის შესწავლა ემსახურება მოსწავლის ფიზიკურ და ესთეტიკურ განვითარებას, მოზარდ თაობაში ზოგადი კულტურის აღზრდას - დახვეწილი გემოვნების, ღირსების გრძნობის, შრომისმოყვარეობის, კორექტული ქცევის, აგრეთვე საკუთარი თავის ფლობის უნარის განვითარებას.

ქართული ცეკვა მკვეთრად გამოხატული ხასიათითა და მუხტით უვითარებს მოსწავლეს ეროვნულ თვითშეგნებას და უყალიბებს ტრადიციისადმი პატივისცემის გრძნობას.

ბ) ქართული ცეკვის სწავლების მიზნები და ამოცანები

ქართული ცეკვის სწავლების მიზანია:

- ქართული ცეკვის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- საცეკვაო-შემოქმედებითი უნარის განვითარება;
- პლასტიკური გამომსახველობის, კოორდინაციის, მოძრაობის კულტურის გამომუშავება, ტანადობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ცეკვის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- მოტორული მეხსიერებისა და რიტმის გრძნობის განვითარება;
- საკუთარი სხეულის ფლობისა და მუსიკის ხასიათის გადმოცემის უნარის განვითარება;
- ქართული ხალხური ცეკვის ძირითადი ელემენტების შესწავლა;
- ქართული საცეკვაო კულტურის ზოგადი გაცნობა;
- მოსწავლეების ჩართვა შემოქმედებით პროცესში.

გ) ქართული ცეკვის საგნის სწავლების ორგანიზება

საგანი ისწავლება დაწყებით საფეხურზე, IV კლასში, კვირაში 1 საათის განმავლობაში (სულ 33 სთ.).

დ) ქართული ცეკვის სწავლების მიმართულებების აღწერა

ცეკვის სწავლება ორი მიმართულებით იშლება:

1. პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
2. კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია.

სწავლება ორივე მიმართულების ფარგლებში პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში მიმდინარეობს.

პრაქტიკული უნარ-ჩვევები

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან და შეისწავლიან ქართული ცეკვის ელემენტებს, გამოუმუშავდებათ და ჩამოუყალიბდებათ პრაქტიკული ჩვევები, რომლებიც მათი პლასტიკური გამომსახველობისა და საცეკვაო-იმპროვიზაციული უნარების განვითარებას ემსახურება.

კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეჩვევიან სხვის მიერ შესრულებული ცეკვის განხილვას, აზრის ნათლად გადმოცემას შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებითა და ქცევის ნორმების დაცვით. მოსწავლეები მონაწილეობენ ერთობლივ შემოქმედებით პროცესში, ესწრებიან და მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, იღებენ ინფორმაციას შესწავლილი ცეკვების შესახებ.

თავი LII

საგნობრივი კომპეტენციები დაწყებით საფეხურზე

IV კლასი ქართული ცეკვა

სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია
ქ.ც.IV.1. მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული ცეკვის ელემენტების გამოყენება.	ქ.ც.IV.6. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა სხვისი ცეკვის მიმართ.
ქ.ც.IV.2. ცეკვის დროს მოსწავლეს შეუძლია კოორდინაციის დაცვა.	ქ.ც.IV.7. მოსწავლეს შეუძლია ცეკვის ნასწავლი ტერმინოლოგიის გამოყენება.
ქ.ც.IV.3. მოსწავლეს შეუძლია ცეკვა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.	ქ.ც.IV.8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი ქართული ცეკვების ამოცნობა და დახასიათება.
ქ.ც.IV.4. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაცია მოსმენილი მუსიკალური მასალის საფუძველზე.	
ქ.ც.IV.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.	

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

ქ.ც.IV.1. მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული ცეკვის ელემენტების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ცეკვის ნაცნობ ელემენტებს;

- ცეკვის დროს ასრულებს ძირითად სვლებს;
- სათანადოდ გადმოსცემს ცეკვის ხასიათს;
- იყენებს გასმებისა და ჩაკვრების ნაირსახეობებს;
- ასრულებს მარტივ ცერილეთებს, მუხლილეთებს;
- ცეკვის დროს სწორად ორიენტირებს სივრცეში.

ქ.ც.IV.2. ცეკვის დროს მოსწავლეს შეუძლია კოორდინაციის დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამართულად უჭირავს სხეული;
- არ იძაბება მოძრაობის შესრულებისას;
- სხვადასხვა სათვალავზე იწევა ერგცერებზე;
- ასრულებს ერთ-, ორ- და სამდაკვრით მოძრაობებს;
- ჩერდება ცალ და ორ ფეხზე სხვადასხვა მდგომარეობაში.

ქ.ც.IV.3. მოსწავლეს შეუძლია ცეკვა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცეკვის დროს მოძრაობს სწორხაზობრივად, დიაგონალურად, ხვეულად, რკალისებურად, წრეზე, ფრონტალურად, საგიტალურად;
- ასრულებს ცეკვის მოძრაობებს, ილეთებს, კომბინაციებს, ფრაგმენტებს, მარტივ კომპოზიციებს ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფურად;
- სხვებთან ერთად მონაწილეობს საფერხულო ცეკვებში;
- სინქრონულად მოძრაობს პარტნიორთან, ჯგუფთან;
- სხვებთან ერთად ცეკვის დროს იცავს სათანადო დისტანციას;
- არ არღვევს მთლიანობას მასობრივი ცეკვის დროს.

ქ.ც.IV.4. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაცია მოსმენილი მუსიკალური მასალის საფუძველზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოძრაობით აჰყვება ცეკვას, გადმოსცემს რიტმს;
- მუსიკის ხასიათს გადმოსცემს მოძრაობით;
- შეთავაზებული ილეთებიდან შეარჩევს ამ ცეკვისათვის შესაფერისს;
- მისთვის უცნობ მუსიკაზე ცეკვის დროს იყენებს სხვა ცეკვისათვის დამახასიათებელ ელემენტებს.

ქ.ც.IV.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დროულად ცხადდება რეპეტიციაზე;
- მოაქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ნივთები;

- აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში;
- მონაწილეობს გამოკითხვაში.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ქ.ც.IV.6. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა სხვისი ცეკვის მიმართ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას ნანახი ცეკვის მიმართ;
- განარჩევს ერთმანეთისგან ნაცნობ და უცნობ ცეკვას;
- გამოთქვამს აზრს, რამდენად შეესაბამება მის მიერ ნანახი ცეკვა მუსიკალურ თანხლებას, სთავაზობს კონკრეტული ფრაგმენტის შესრულების საკუთარ ვარიანტს;
- კორექტული ფორმით გადმოსცემს საკუთარ დამოკიდებულებას.

ქ.ც.IV.7. მოსწავლეს შეუძლია ცეკვის ნასწავლი ტერმინოლოგიის გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად წარმოთქვამს ნასწავლ ტერმინებს საუბრის დროს;
- საჭიროების შემთხვევაში განმარტავს მათ;
- სვამს კითხვებს მისთვის უცნობი ილეთის, მოძრაობის დასახელების, ტერმინის დაზუსტების მიზნით.

ქ.ც.IV.8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი ქართული ცეკვების ამოცნობა და დახასიათება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ცეკვას მუსიკის მოსმენისას;
- იცნობს და ასახელებს ნასწავლი ცეკვების დამახასიათებელ ილეთებს;
- ახასიათებს ნასწავლ ცეკვებს შემსრულებელთა შემადგენლობის, შინაარსის, ჟანრის მიხედვით;
- ცეკვების მიხედვით განასხვავებს კოსტიუმებს;
- ასახელებს ცეკვის მუსიკალური თანხლებისათვის საჭირო მუსიკალურ საკრავებს.

პროგრამის შინაარსი

ფრაგმენტები ცეკვებიდან:

1. "დავლური-ქართული";
2. შერჩევით: "აჭარული", "მთიულური" და ა. შ.

ცეკვის ელემენტები:

- ძირითადი სვლები (*წინსვლა, უკუსვლა, გვერდზე სვლა*);
- გასმები;
- ჩაკვრების ნაირსახეობები;
- მარტივი ცერილეთები.

ვარჯიში:

- ძელთან და შუა დარბაზში;
- მაღალ ერგცერზე აწევ-დაწევა (*8, 4, 2, 1 თვლაზე*);
- თავისუფალი ფეხის ერგცერის დაკვრა იატაკზე (*2, 1 თვლაზე*);
- ერგცერების რიგ-რიგობით დაკვრა იატაკზე;
- სამდაკვრითი მოძრაობა.

გასმების მოსამზადებელი ვარჯიშები:

- სადა, სრიალა გასმა;
- სადა ჩაკვრის მოსამზადებელი ვარჯიში.